


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს



ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ ჰიდროელექტროსადგური “რიონი ჰესი“-ს საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლასა და ქვესადგურის ექსპლუატაციაზე 2018 წლის 18 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-579 ბრძანებით დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განსაზღვრულია, რომ ჰიდროენერგეტიკულ და ძალოვან ობიექტებზე შესაძლებელია გეგმური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რომლებიც შესაძლებელია მოიცავდნენ, როგორც ტექნიკისა და ძირითადი კვანძების შეკეთებას ან გამოცვლას.

2018-2019 წლებში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას გენერაცია“ მიერ რიონის ჰიდროელექტროსადგურზე ჩატარდა გეგმური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შედეგად რიონი ჰესის №2 ჰიდროაგრეგატის შემადგენელი ნაწილების ტექნიკური გაუმჯობესების ხარჯზე, მისი ნომინალური სიმძლავრე 12,00 მგვტ-იდან გაიზარდა 15 მგვტ-მდე, რამაც გამოყენებული რესურსის (წყალალემა) ცვლილების გარეშე, გაზარდა 2018 წლის №2-579 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული წარმადობა და საბოლოო ჯამში ჯამური სიმძლავრე გახდა 54 მგვტ.

იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის 18 ივლისის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-579 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯამური სიმძლავრე - 51 მგვტ, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდგომ გაიზარდა და გახდა 54 მგვტ, საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად საქმიანობა ექვემდებარება კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.



დანართი:

- რიონის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პრობემის შეცვლის სკრინინგის ანგარიში;
- რიონის ჰიდროელექტროსადგურის კოორდინატები (Shp. ფაილები).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი
მიხეილ ზოცვაძე



შემსრულებელი: ლევან იოსელიანი (577 351397)